რატომ ვერ იტანს ივანიშვილი
გიორგი მარგველაშვილის კრიტიკას?!

გაზეთი ”ალია” – 8 მაისი, # 42, 2013

ახალ მთავრობაში დიდი ამბავია ატეხილი... გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ თეა წულუკიანის უწყების მიერ მომზადებული კანონ-პროექტი როზა ლუქსემბურგის დროინდელ კანონს აგონებს, ამის შემდეგ კობა დავითაშვილი ითხოვს მარგველაშვილის გადადგომას, თუ ეს პროექტი არ მოსწონდა, მთავრობის სხდომაზე ეთქვაო. სცენა და სცენარი იგივეა, ”ნაცვიონალებშიც” ხდებოდა მსგავსი რამ, მაგრამ, როგორც ხალხი ლაპარაკობს, რომ ესენი უფრო უნიჭოდ თამაშობენ.

”ალიას” ესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ლადო პაპავა:

- სიმართლე გითხრა, ჩემთვის სრულიად გაუგებარია მთავრობის მუშაობის სტილი... თუ იუსტიციის სამინისტრო არ ამზადებდა ნორმალურ კანონ-პროექტს, მაშინ ვერ შეიტანდა მთავრობაში, ვერ გავიგე, მაშინვე რატომ არ ჰქონდა რეაქცია ან პრემიერს, ან ვიცე-პრემიერს? მე არ მესმის, როცა მარგველაშვილი სტუდენტებთან საუბრობს, ეს როზა ლუქსემბურგის შრომის კოდექსიაო, რა გამოდის? კი, მაგრამ ეგ კაცი ვიცე-პრემიერია, ექსპერტი ხომ არ არის? თუ ცუდი იყო, მთავრობის სხდომაზე შეეჩერებინა საკითხი. ასევე გაუგებარია, რატომ არა აქვს ივანიშვილს ერთნაირი კრიტერიუმი მარგველაშვილთან და დავითაშვილთან დაკავშირებით, ორივემ ხომ ერთნაირად დაარღვია გუნდური თამაშის წესი?

- მარგველაშვილი აცხადებს, ასეთი რაღაცა პრივატულ საუბარში ვთქვიო. კი, მაგრამ სტუდენტებთან საუბარი პრივატულია?

- არ შეიძლება, სტუდენტებთან საუბარი პრივატული ვერ იქნება. ეგ იმას ნიშნავს, ახლა მე რომ გითხრა, ჩვენი საუბარი პრივატულია-მეთქი. ეს სასაცილოა! ვიმეორებ, ეს

არის მთავრობის მუშაობის სტილი, რაც ჩემთვის გაუგებარია! ასევე გაუგებარია, როცა გია დვალს დაევალა განათლებისა და მეცნიერების რეფორმირება და დვალს არანაირი სტატუსი არ მიანიჭეს, არც რაიმე სამთავრობო დოკუმენტი არსებობს, რომ ამ ადამიანს დაევალა რაღაცის გაკეთება. ყველაფერი მიდის ზეპირსიტყვიერად. მე ასევე არ მესმის, ბოლო-ბოლო, სოფლის მეურნეობის მინისტრი, დავით კირვალიძე გადადგა თუ უფლებამოსილება შეუჩერდა? შეჩერების სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს.

- ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პრემიერ-მინისტრმა უფლებამოსილება შეუჩერა.

- ვიმეორებ, იურიდიული საფუძველი არ არსებობს, რანაირად გაფორმდა? არ ვიცი, თქვან, შვებულებაშია გასული თუ ბიულეტენზეა? ჯერ თქვეს, გადადგაო, მერე მისმა გუნდმა თქვა, არა, დაბრუნდებაო. ახლა ბატონი ბიძინა იძახის, გამოძიების შეჩერება მთხოვაო. გაუგებარი განცხადებებია. იგივე საკითხს დავუბრუნდები, თუ იუსტიციის სამინისტრომ შრომის კოდექსი მოამზადა, ეს უწყება ამ მთავრობის ნაწილი არ არის? თუ არ მოსწონდათ, პარლამენტში რატომ შევიდა? სტუდენტებთან ასეთი განცხადებები შეიძლება მე გავაკეთო, რადგან ვარ ექსპერტი. დავუშვათ, რომელიმე სამინისტრო ცუდ რაღაცას აკეთებს, ვიცე-პრემიერი უნდა გამოვიდეს და იშაყიროს?!

- რატომ ენდობა ივანიშვილი ბრმად მარგველაშვილს და რატომ აცხადებს, რომ სასწორი დამქირავლებლისკენ უნდა გადაიხაროს?

- ჩემი აზრით, სასწორი არავისკენ არ უნდა გადაიხაროს, ეს საკითხი უნდა იყოს დაბალანსებული. მაშინ გამოდის, რომ "ქართული ოცნება" ამომრჩეველს ერთს დაპირდა და ახლა მოდერნიზებულად აკეთებს იგივეს, რასაც აკეთებდა "ნაციონალური მოძრაობა". მე მაქვს ასეთი განცდა, ბიძინა ივანიშვილს აქვს თავისი სიმპატიები და ამიტომ საკითხის შინაარსი მისთვის აზრს კარგავს. კი, ბატონო, მივესალმები, მარგველაშვილმა ორი კარგი საქმე გააკეთა, ვგულისხმობ უფასო სახელმძღვანელოებს და უმაღლეს სასწავლებლებში 13 ფაკულტეტის დაფინანსებას, მაგრამ ხშირად ლაპარაკობს როგორს ექსპერტი. ასე მარტო ეგ არ იქცევა, დღევანდელ მთავრობაში ბევრმა ვერ გაიგო, რომ მინისტრია და ისევ ექსპერტობს.

- პოლიტიკური თვალსაზრისით რას მივიღებთ?

- ამათ უნდა გააცნობიერონ, რომ არიან მინისტრები. არ შეიძლება, ჯერ განცხადებები კეთდებოდეს და მერე განმარტებები მოსდევდეს. ახლა შეტევა მიდის გია ხუხაშვილის წინააღმდეგ, ამ ადამიანს კარგად ვიცნობ, ძალიან დაგვაახლოვა "დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბმა", სადაც ერთად ვიბრძოდით "ნაციონალური" ბოროტების წინააღმდეგ. პირადად ვაფასებ, მაგრამ არც ის მესმის, როცა პრემიერ-მინისტრი საჯაროდ აცხადებს: არ გეგონოთ, მე ხუხაშვილის ჭკუაზე დავდიოდეო. ეს ძალიან ჰგავს იმას, სააკაშვილი რომ ამბობს ხოლმე, არ გეგონოთ, გიჟი ვარო! გიას დღეს ოფიციალური სტატუსი მიეცა, ის არის ივანიშვილის მრჩეველი. თუმცა იმის თქმა, რომ ამ თანამდებობაში ხელფასს არ იღებს, ჩემთვის ესეც გაუგებარია. ნებისმიერმა საჯარო მოხელემ ხელფასი უნდა აიღოს, რათა ჩვენ მოვთხოვოთ პასუხი. ესენი ხალხის მიერ დაქირავებულები არიან, თუ ხელფას არ აიღებენ, რაზე ველაპარაკო, რა მოვთხოვო?

- მთავრობაში სიტუაცია აჭრილია, თვითონ პრემიერ-მინისტრიც ხშირად ვარდება უხერხულ მდგომარეობაში, ხან იძახის, ერთ-ერთ მინისტრს მოეხაზებაო, მერე გამოდის და ამტკიცებს, შემეშალაო.

- კი, მერე იძახის, ვნანობ, რომ ვიჩქარეო. ვინმე ეხვეწებოდა, იჩქარეო, კაცო? მე ამ სიტუაციას უფრო სხვანაირად ავხსნიდი, მთავრობაში ბევრ ადამიანს აკლია სახელმწიფო მოღვაწის გამოცდილება. ასეთი რაღაცა გენეტიკურად არ მოდის, ამას გამოცდილება და ნიჭი უნდა. შეიზლება მოიგო არჩევნები, მაგრამ ვერ გახდე სახელმწიფო მოღვაწე. ამ ეტაპზე ჩვენ გვაქვს "ნაციონალური" ბოროტების მოშორების პრობლემა, ეს ჭირი უნდა დამარცხდეს და ამაში ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის ბიძინა ივანიშვილს.

- ვერ დამარცხდება, თუკი ახალი მთავრობა ასე გააგრძელებს.

- მათი შეცდომები ჯერჯერობით არ არის საბედისწერო. ახლა ფინანსთა მინისტრმა შექმნა სათათბირო, სადაც ეკონომისტები ვართ გაერთიანებული, პირადად მე უკვე წარვადგინე ჩემი მოსაზრებები. სავარაუდოდ, ამ ზაფხულს უკვე უნდა დავდოთ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. ზოგიერთი მინისტრობს, ზოგს კიდევ ვერ გაუგია, რა ხდება ამ ქვეყანაში.

- ალბათ რამდენიმე მინისტრი მართლაც გასაშვებია.

- ეგ პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტია, მაგრამ როცა ვიცე-პრემიერი იუსტიციის მინისტრს შეურაცხყოფს, ცოტა უხერხულია. გეგონება სააკაშვილმა გააკეთა ეს ახალი პროექტი, მთავრობაში თვითონ არ სხედან? თან ისე აკრიტიკებენ წულუკიანს, "ნაციონალებს" რომ გაუხარდებათ. ასეთი მინისტრები კი ჩემთვის მიუღებლები არიან.

- ესე იგი, კობა დავითაშვილი მაგათთან არ ტყუის, ხომ?

- კობა დავითაშვილი იქცევა ისე, როგორც იქცეოდა ადრე, რაც მოვიდა პოლიტიკაში. თუ მისი საქციელი არ მოსწონდათ, რატომ ჩასვეს სიაში?

- სხვათა შორის, როცა მე შევხვდი ბიძინა ივანიშვილს, მაშინ მითხრა, კობა დავითაშვილი ძალიან მომწონს, შემომივარდება ხოლმე და პირდაპირ მეუბნება სათქმელსო. ჰოდა, თუ ადრე მოსწონდა, ახლაც აიტანოს.

- ძალიან კარგი... მე არ მესმის, რატომ ღიზიანდება დავითაშვილზე და რატომ არ ღიზიანდება მარგველაშვილზე? აქ ერთი მომენტია, მე "ენდიაის" გამოკითხვებს საერთოდ არ ვენდობი, მაგრამ ბოლო გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მინისტრებს შორის ყველაზე პოპულარულია თეა წულუკიანი, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა ბატონ მარგველაშვილს. აი, ეს არ მოეწონა ბიძინა ივანიშვილს, მისი სიმპატიები განსხვავსება გამოკითხულთა სიმპატიებისგან. არადა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რამდენიმე მინისტრი, უკეთეს შემთხვევაში, დარჩა ექსპერტად და ხალხის გამრთობად. დანარჩენი პრემიერ-მინისტრის საფიქრალია, მან უნდა გადაწყვიტოს.

გელა ზედელაშვილი